პროლეტარიელნო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

სამშაბათი, 26 აპრილი, 1949 წ. № 82 (8385). ფასი 20 კაპ.

**საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში! დანერგეთ ახალი ტექნიკა. გააუმჯობესეთ წარმოების ტექნოლოგია! განუწყვეტლივ ამაღლეთ მოოქმის ნაყოფიერება—მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემდგომი შემცირების საფუძველი!**

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

# ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით— წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი 1949 წლის 1 მაისისათვის.

ლენინ-სტალინის პარტიის ცენტრალური კომიტეტის საბრძოლო საპირველმაისო მოწოდებებში მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, ჩვენი ქვეყნის ყველა შრომელთა ამოცანები ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

წლევანდელ საპირველმაისო დღესასწაულს საბჭოთა ხალხი და ყველა ქვეყნის შრომელნი ხვდებიან მშვიდობისათვის დაძაბული ბრძოლის ვითარებაში.

ჩრდილო ატლანტიკის პაქტის დადება, ალეიანსისნილი და ცინიკური გამოსვლები ამერიკელი რეაქციონერებისა, როგორიცაა კენონი, გამაალებული შეიარაღება — ყოველივე ეს მოწმობს, რომ იმპერიალისტები ემზადებიან ახალი ომის მორეკვაში. ჩააგდონ კაცობრიობა. მაგრამ მათი დანაშაულებრივი გეგმების გზაზე დგანან დემოკრატიული ბანაკის აუოაცხელი ძალები, რომელთაც სათავეში უდგას ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო. ეს ძალები იზრდებიან და მტკიცდებიან. მშვიდობის მომხრეთა ახლანდელი მსოფლიო კონგრესი შესანიშნავი დადასტურებაა ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ბრძნული განჭვრეტისა, რომ ომის გამჩაღებელთა პოლიტიკა შეიძლება მხოლოდ მათი სამარცხვინო მარცხით დამთავრდეს, რადგან „ხალხთა ზსოვნაში მეტად ცოცხალია ამასწინანდელი ომის საშინელებანი და მეტად დიდია საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც მზარს უტრენ მშვიდობას, და ბერლინის მოწოფეებს აგრესიის დარგში არ ძალუძთ მათი დაძლევა და ახალ-ომისაკენ მიბრუნება“.

საპირველმაისო დღესასწაულს — ანტიიმპერიალისტური, დემოკრატიული ბანაკის ძალთა საბრძოლო დათვალიერების — წინადღეს საბჭოთა ხალხი ძმურ სალამს უთვლის დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლ ხალხებს. მთელ მსოფლიოში მძლავრად გაისმის საპირველმაისო მოწოდება ლენინ-სტალინის პარტიისა — დიადი და ძლიერელი პარტიისა, რომელიც გასწავლიერებს ჩვენი ეპოქის გონებას, ღირსებასა და სინდისს:

— ყველა ქვეყნის მშრომელებო! მშვიდობის დაცვა მსოფლიოს ყველა ხალხის საქმეა! ამხილეთ ახალი ომის გამჩაღებელთა აგრესიული გეგმები! გაერთიანეთ მთელი ძალები მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის საბრძოლველად!

ამ ბრძოლაში სსრ კავშირის და საბჭოთა დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა მხარდამხარ დგას კაპიტალისტური ქვეყნების, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ყველა პატიოსანი მოწინავე ადამიანი. მიუწედავად იმპერიალისტ მბრძოველთა მეცადინეობისა, მიუხედავად რეაქციული პრესის ცილისმწამებელური ლრიაკ(ცელისა, მათ იციან, რომ საბჭოთა კავშირი, რომელმაც კაცობრიობა ფაშისტური მონობისაგან, ახლა მშვიდობისათვის მებრძოლთა ავანგარდში დგას. შეიძლება ეჭვი არ ვიქნიოთ, რომ მიუხედავად სიცრუისა და ცილისწამების რკინის ფარდისა, რომელიც ომის გაჩაღებელთა რეაქციულმა ხრბამ აღმართა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ხალხები გაიგონებენ მოწოდებას, რომელიც 1 მაისს მთელ დედამიწაზე გაისმის.

— საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ხალხთა მეგობრობა მტკიცე მშვიდობის საუკეთესო გარანტია. გაუმაჯოს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ კავშირს მათს ბრძოლაში მშვიდობისათვის!

მშვიდობისათვის თანმიმდევრული და განუხრელი ბრძოლა გამოდნარეობს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს თვით არსიდან, საბჭოთა სახელმწიფოსი, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი აგრესიული ექსპლოატატორული ზრახვები და რომელიც სისხლხორცეულად არის დაინტერესებული კომუნისტური საზოგადოების შენებლობისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნით. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მტკიცედ და ურყეველად ვემხრობით მშვიდობას. მაგრამ ჩვენ ერთ წუთსაც არ გვავიწყდება ომის გამჩაღებელთა ოიხები და ვიცით, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები, რომლებმაც პირნათლად დაიცვეს დიდ სამამულო ომში ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, წარმოადგენენ საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის საიმედო დამცველს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც მთელი საბჭოთა ხალხს გრძნობებს გამოხატავს, მიმართავს მათ საბრძოლო მოწოდებით:

— საბჭოთა არმიის მეომრებო! ფიზიზლად დაიცავით მოპოვებული მშვიდობა და ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შრომა!

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი მკაფიოდ ასახავენ ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობის გრანდიოზულ გაქანებას.

— საბჭოთა კავშირის მუშებო, გლეხები და ინტელიგენციავ! — მიმართავს პარტიის ცენტრალური კომიტეტი სსრ კავშირის ყველა მშრომელთ. — უფრო ფართოდ გაანაღეთ სოციალისტური შეჯიბრება ომისშემდგომი ხუთწლედის ვადამდე შესასრულებლად! სახალხო მეურნეობის, ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის!

ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრება მონაწილეობას იღებს მუშა-მოსამსახურეთა ცხრამეათედზე მეტი, მილიონობით კოლმეურნე. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი ამ შეჯიბრების მონაწილე მთელ მრავალმილიონიან არმიას მიუთითებენ კონკრეტულ ამოცანებზე, რომელთა განხორციელებაზეც მიპყრობილი უნდა იყოს მათი ყურადღება, მათი მეცადინეობა. ეს არის შემდგომი ტექნიკური პროგრესი მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში. ეს არის ახალი ტექნიკის დანერგვა, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესება. ეს არის შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდა, რომელიც წარმოადგენს მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემდგომი შემცირების საფუძველს. ეს არის პროდუქციის ხარისხის განუწყვეტელი გაუმჯობესება, უსასტიკესი მომპირნეობა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, ზეგეგმიი დაგროვება, სახლეო მეურნეობის ყველა დარგში საბრუნავი სახსრების გამოყენების გაუმჯობესება.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის საპირველმაისო მოწოდებებში ძირითად ამოცანებს უსახავს სოციალისტური მრეწველობის ყველა უმნიშვნელოვანესი დარგის მუშაკებს. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ქვანახშირის მუშაკებს გაადიდონ ქვანახშირის მოპოვება, უკეთ გამოიყენონ მექანიზმები, უფრო სწრაფად აღადგინონ და აშენონ შახტები. გააძლიერონ ნავთის მოპოვებისა და გადამუშავების ტემპი, უფრო სწრაფად აითვისონ ახალი საბადოები, ენერგიულად დანერგონ ბურღვის ტექნიკურად გაუმჯობესებული ხერხები — ასეთია ნავთის მუშაკთა ამოცანა. სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის საჭირო ლითონის წარმოების ახალი მძლავრი აღმავლობა უნდა უზრუნველყონ ჩვენმა მეტალურგებმა. მოწინავე ტექნიკით სახალხო მეურნეობის აღჭურვისათვის მოწოდებული არიან მანქანათმშენებლობის მუშაკები. ჩვენი მშენებლები მოვალენი არიან დროულად ჩააყენონ მწყობრში ახალი საწარმოები, ბინები, კულტურული დაწესებულებანი, გაძლიერონ სამუშაოთა მექანიზაცია, გააუმჯობესონ მშენებლობის ხარისხი და შეამცირონ მისი თვითღირებულება.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებას. მშრომელთა ცხოვრების მატერიალური დონის შემდგომი ამაღლებისათვის განუწყვეტელი ზრუნვით არის გამსჭვალული პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოწოდება, მიმართული მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშაკებისადმი: გაადიდონ ქსოვილების, ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ტრიკოტაჟის, შაქრის, ერბო-კარაქის, ხორცისა და რძის და კვების სხვა პროდუქტების წარმოება, გაუმჯობესონ მათი ხარისხი, გაფართოონ ასორტიმენტი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებანი საბრძოლო ამოცანებს უსახავენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკებს. მათდაამ ძიძაოოოლია ცენტრალური კომიტეტის მოწოდება:

— გაამრავლეთ სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის წარმატებანი, იბრძოლეთ საკაზფუნოო თესლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებისათვის! შეავმნათ სუფსათის სიუხვე მოსახლეობისათვის და ნედლეულისა მსუბუქი მრეწველობისათვის!

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება გვიჩვენებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელ ნათეს ფართობზე უხვი, მყარი მოსავლის მიღების გზას. საჭიროა რაც შეიძლება ფართოდ გავავრცელოთ ეს გამოცდილება, მივაღწიოთ იმას, რომ მოწინავეთა რიგები ჩვენში ღღითიდღე იზრდებოდეს, მტკიცედ დავნერგოთ პრაქტიკაში მოწინავე სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევები.

ამ დღეებში გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა. საპირველმაისო დღესასწაულის წინ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოწოდებით მიმართავს ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, ზოოტექნიკოსებს და ვეტერინარ მუშაკებს — ყოველმხრივ განავითარონ საზოგადოებრივი მეცხოველეობა, გაამძლიერონ პირუტყვის სულადობის ზრდა, გაადიდონ მისი პროდუქტიულობა.

ჭეშმარიტად გიგანტური მასშტაბით გაჩაღდა ველიან და ტყეველიან რაიონებში ბრძოლა ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის ვადამდე განხორციელებისათვის. პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის მუშაკებს წარმატებით განახორციელონ ეს გეგმა და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს არის უხვი და მყარი მოსავლის მიღების გზა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მთელი რიგი მოწოდებანი მიმართულია საბჭოთა ინტელიგენციისადმი. საბჭოთა მეცნიერების პატრიოტული მოვალეობაა ახალი და ახალი გამოგონებებით, გამოკვლევებით, აღმოჩენებით გაამდიდროს ჩვენი მეცნიერება და ტექნიკა, უფრო ბეჯითად დანერგონ წარმოებაში მეცნიერების მიღწევები, ენინ წასწინონ ტექნიკა. ოსტატობის დონის ამაღლებას, დიდი საბჭოთა ხალხის შესაფერი ახალი მაღალფეური მხატვრული ნაწარმოებების შექმნას მოელის და მოითხოვს სამშობლო ლიტერატურის, ხელოვნების, კინემატოგრაფიის მუშაკებისაგან. დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანების უსახავენ მოწოდებანი საბჭოთა მასწავლებლებისა და მედიცინის მუშაკების ამრამაც, რომელიც ორ მილიონ 250 ათას კაცს აღემატება.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში დიდ და მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს პროფკავშირთა X საკავშირო ყრილობა, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს. ყრილობა განაზოგადებს კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლაში პროფკავშირთა მონაწილეობის გამოცდილებას, დასახავს პროფკავშირების როგორც კომუნიზმის სკოლის შემდგომ ამოცანებს.

ეს ამოცანები განისაზღვრება პარტიის ცენტრალური კომიტეტის მკაფიო და ნათელი მოწოდებით, რომელიც მიმართულია საბჭოთა პროფკავშირებისადმი:

— უფრო ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება ომისშემდგომი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის! გაავრცელეთ წარმოების ნოვატორთა გამოცდილება! გამოიჩინეთ დაუღალავი მზრუნველობა მუშებისა და მოსამსახურეების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის!

ახალ მძლავრ აღმავლობას განიცდის ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო — საბჭოთა ქვეყნის ხალხების მეგობრობისა და დიდების ბურჯი. გრანდიოზული შემოქმედებითი ამოცანები დგას ჩვენი ხალხის, გმირი ხალხის, მშრომელი ხალხის, კომუნიზმის მშენებელი ხალხის წინაშე. ბოლშევიკების დიადი პარტია აერთიანებს და საერთო მიზნისაკენ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ წარმართავს ქალაქისა და სოფლის მილიონობით მშრომელთა მთელ ღონისძიებებს. ყველგან, კომუნიზმის მშენებლობის ყოველ უბანზე, ვხედავთ საბჭოთა ხალხის ბრძოლებში გამოწრთობილი ავანგარდის, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის — ლენინ-სტალინის პარტიის წარმმართველ როლს.

დიდი სტალინი — ჩვენი ბრძენი ბელადი და საყვარელი მასწავლებელი — აღაფრთოვანებს და წინ მიუძღვის საბჭოთა ხალხს და მის მებრძოლ ავანგარდს—ბოლშევიკების პარტიას. უსაზღვრო ხალხის სიყვარული და ერთგულება ამხანაგ სტალინისადმი. ჩვენს ხალხს ურყეად და მტკიცედ სწამს, რომ ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით განხორციელდება კაცობრიობის უდიდესი მიზანი — კომუნისტური საზოგადოების აშენება. ამ მიზანს გვაახლოვებს ყოველი ახალი წარმატება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ახალი შრომითი გამარჯვება.

დიდი საპირველმაისო დღესასწაულის წინ საბჭოთა ქვეყანაში კიდით კიდამდე სსრ კავშირის ყველა ხალხთა ენაზე გაისმის საბრძოლო მოწოდების სიტყვები:

— ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით — წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

„პრავდის“ 25/IV მოწოდებიდან

## ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### მეცხოველეობის დარგში მომუშავე სპეციალისტებისა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკების ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

1. დაწესდეს, რომ ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით ჯილდოდებიან მეცხოველეობის დარგში მომუშავე ზოოტექნიკოსები, ვეტერინარი ექიმები, ტექნიკოსები და ფერშლები, აგრონომები, ინჟინრები, ხელმძღვანელი მუშაკები, რომელთაც აქვთ მუშაობის განუწყვეტელი სტაჟი:

8 წელი — მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“,
10 წელი — მედლით „შრომითი მამაცობისათვის“,
15 წელი — „საპატიო ნიშნის“ ორდენით,
20 წელი — შრომის წითელი დროშის ორდენით,
25 წელი — ლენინის ორდენით.

2. მეცხოველეობის დარგში მომუშავე ზოოტექნიკოსების, ვეტერინარი ექიმების, ტექნიკოსებისა და ფერშლების, აგრონომების, ინჟინრების, ხელმძღვანელი მუშაკების მუშაობის სტაჟი გამოანგარიშებულ იქნას ამ ბრძანებულების გამოცემამდე სოფლის მეურნეობის მეცხოველეობის დარგში, სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებში, ხელმძღვანელ ორგანოებში მუშაობის გათვალისწინებით.

3. სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად ამ ბრძანებულების თანახმად პირველად წარდგენისას მეცხოველეობის დარგში მომუშავე ზოოტექნიკოსებს, ვეტერინარ ექიმებს, ტექნიკოსებსა და ფერშლებს, აგრონომებს, ინჟინრებს, ხელმძღვანელ მუშაკებს უფლება აქვთ მიიღონ ნამსახურობის შესაბამისი ერთი ჯილდო.

ნამსახურობისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად წარადგენენ შესაბამისი საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები წელიწადში ერთხელ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 20 აპრილი.

## ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა არსებული ჯიშების გაუმჯობესებისა და ახალი ჯიშების გამოყვანისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

1. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის ორდენებით ჯილდოდებიან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელები, სპეციალისტები და მუშაკები სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა არსებული ჯიშების გაუმჯობესებისა და ახალი ჯიშების გამოყვანისათვის და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭებათ განსაკუთრებით გამოჩენილ სელექციონერებს — სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ახალი ჯიშების გამომყვანთ.

2. სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა არსებული ჯიშების გაუმჯობესებისა და ახალი ჯიშების გამოყვანისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მისანიჭებლად და სსრ კავშირის ორდენებით დასაჯილდოებლად წარადგენს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 20 აპრილი.

## ბ ა ქ ო

### აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილის, საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გამორჩენილი მოღვაწის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილისა და აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მირ ბაშირ ფატახ ოღლი **კასუმოვის** გარდაცვალების გამო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოაბმარა ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი სამსახურს, ამერკაკვასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ინტერესებს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**
**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**
**საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი**

## ორდენების გადაცემა ქართლის რაიონების სახელოვანი ადამიანებისათვის

**გორი.** (საკ. კორ.). 24 აპრილს გორის სახელმწიფო თეატრში შედგა ქართლის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის და სკოლების მასწავლებლებისათვის ორდენებისა და მედლების გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. კრება შესავალი სიტყვით გახსნა შრომელთა დეპუტატების გორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. კეჩხუაშვილმა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ვ. ეგნატაშვილმა დამსწრეთ გაიცნო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 2 და 26 მარტის ბრძანებულებანი გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა და სკოლების მასწავლებელთა დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. გოგუაძ ლენინის ორდენი გადასცა გორის რაიონის სოფელ ქვემოს კოლმეურნეობა „წითელი ქართლის“ ცნობილ მეხილეს ა. გამოლოშვილს, სოფელ შერთულის კოლმეურნეობა „წითელი სხივის“ მეხილეობის მერგოლორეს ევგენია ლომსაძეს, სოფელ ფლავის და მერეთის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს ი. ეცადაშვილს და ვ. მეცხვარაშვილს, სოფელ დიდი ბერშუეთის სკოლის ლენინის ორდენოსან მასწავლებელს გრიგოლ გლურჯიძეს.

ამხ. გოგუამ გორის, კასპის და ქარელის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეებიდან ლენინის ორდენი გადასცა ან კაცს, შრომის წითელი დროშის ორდენი—17, მედალი „შრომითი მამაცობისათვის“—20, ხოლო მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ — 8 მოწინავეს. ორდენები და მედლები გადაეცა აგრეთვე გორის, ხაშურის, ქარელის და კასპის რაიონების სკოლების 337 მასწავლებელს. მათ შორის ლენინის ორდენი მიიღო 33, ხოლო შრომის წითელი დროშის ორდენი 26 მასწავლებელმა.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს ლენინის ორდენოსნებმა: ი. ეცადაშვილმა, ე. ლომსაძემ, გ. გლურჯიძემ (გორის რაიონი), ა. ბახტაძემ (ქარელის რაიონი), მ ფანჯაკიძემ (ხაშურის რაიონი).

დასასრულ ამხ. გოგუამ სიტყვით მიმართა დაჯილდოებულთ და უსურვა შემდგომი წარმატებანი.

## გაიხსნა კარელია-ფინეთის კ. პ. (ბ) მეორე ყრილობა

**პეტროზავოდსკი,** 24 აპრილი. (საკდეს). დღეს აქ გაიხსნა კარელია-ფინეთის კ. პ. (ბ) მეორე ყრილობა. დელეგატებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეებიდან—მ. ი. კალინინის, ა. ა. ჟდანოვისა და ა. ს. შჩერბაკოვის ხსოვნას.

დელეგატები მჭეხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ წინადადებას, რომ საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა კარელია-ფინეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ნ. კუპრიანოვმა.

## რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

### რსფსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევის შესახებ

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მოწვეულ იქნას რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია 1949 წლის 24 მაისს ქალაქ მოსკოვში.

## ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის

შედგა თბილისის პარტიულ-სამეურნეო და პროფკავშირულ მუშაკთა საქალაქო თათბირი, მიძღვნილი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხისადმი.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ზამბახიძემ.

თათბირმა მოისმინა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. გ. ფაჩუღლის მოხსენება „ქალაქში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ“.

ქალაქად პროფკავშირულ ნებაყოფლობითი სპორტულ საზოგადოებათა ძირეული ორგანიზაციების მუშაობის საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. გიორგაძე. მომხსენებლები ვრცლად შეჩერდნენ დედაქალაქში ფიზკულტურისა და სპორტის დარგში არსებულ მდგომარეობაზე.

მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. სტურუამ, სპორტული საზოგადოება „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. კარანაძემ, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ბ. კიზირიამ, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. შეგრელიშვილმა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. გ. ურუშაძემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ჯიბაშვილმა და სხვ.

კამათში ბევრ გამოსულმა ამხანაგებმა მკაცრად გააკრიტიკეს ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რასაც ადგილი აქვს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეში.

თათბირმა მიიღო სათანადო დონისძიებანი დედაქალაქში ფიზკულტურისა და სპორტის საქმის შემდგომი განვითარებისათვის.

## ამუშავდა მახარაძის მძლავრი ელექტრო-ქვესადგური

**მახარაძე.** (საკ. კორ.). ქალაქ მახარაძეში ამუშავდა ახალი მძლავრი ელექტროქვესადგური, რომელიც საკავშირო უზრუნველყოფს იაფი ელექტროენერგიით გურის რაიონების საწარმოებს, პირველ რიგში ჩაის ფაბრიკებს.

ამ ქვესადგურის ამუშავების დიდი სამეურნეო მნიშვნელობა ის არის, რომ მისი საშუალებით ყოველწლიურად მიიღებთ 4.000 ტონამდე ძეირფასი საწვავის ეკონომიას და, გარდა ამისა, ელექტროქვესადგური არ გამოიწვევს ელექტროენერგიის დეფიციტს, ვინაიდან იგი რესპუბლიკის ენერგეტიკული სისტემიდან დენს მიიღებს ზაფხულობით, როდესაც ელექტროენერგიის სიჭარბეა.

მშენებლთა და მემონტაჟეთა კოლექტივებმა ღირსეულად ნაბარეს გამოცდა და თავის დროზე გადასცეს ქვესადგური საექსპლოატაციოდ. ქვესადგური წარმატებით მუშაობს.

# ლენინიზმის ენციკლოპედიური ნაშრომი

25 წლის წინათ, 1924 წლის 26 აპრილს გაზეთ „პრავდაში“ დაიწყო ბეჭდვა ამხანაგ სტალინის კლასიკური ნაშრომისა „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“. ლენინიზმის ეს კლასიკური ნაშრომი წარმოადგენს 1924 წლის აპრილს დამდეგს სვერდლოვის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტში ამხანაგ სტალინის მიერ წაკითხულ ლექციებს.

საბჭოთა ხალხისა და ბოლშევიკური პარტიისათვის მძიმე ისტორიულ ვითარებაში შეიქმნა ამხანაგ სტალინის კლასიკური ნაწარმოება „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“. სახელოვანი ბოლშევიკური პარტიისა და მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიასძე ლენინის გარდაცვალება უაღრესად მძიმე დანაკლისი იყო ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის.

ბოლშევიკური პარტიის სახელით ამხანაგმა სტალინმა ლენინის კუბოსთან დადო დაცი ფიცი, რომ ღირსეულად შეასრულებდა მის ყველა ანდერძს. პარტიამ ლენინიზმის უძლეველი დროშით ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით წაიყვანა საბჭოთა ხალხი წინ, სოციალიზმის მშენებლობის გზით, ლენინის ყველა ანდერძის განსახორციელებლად.

ამხანაგ სტალინის ნაშრომს „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“, რომელშიც ლენინიზმი გადმოცემულია ოსტატურად და რომელიც ლენინიზმის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი ფასდაუდებელი მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა ის იყო, რომ იგი მიზნად ისახავდა ლენინიზმის დაცვას ტროცკიზმის თავდასხმებისაგან, რაც უფრო გაძლიერდა და გამწვავდა ლენინის ავადმყოფობის პერიოდში და განსაკუთრებით მისი გარდაცვალების შემდეგ. ამხანაგ სტალინის ნაშრომი ამხილებდა ტროცკისტების ეერაუულ ცდებს შეეცვალათ ლენინიზმი ტროცკიზმით. ეს ნაშრომი იდეურად ანადგურებდა ტროცკისტებს. ეს ნაშრომი ლენინიზმის საფუძვლების ცოდნით აიარაღებდა პარტიაში ლენინური გაწვრთვის მრავალათასიან არმიას და საერთოდ მშრომელ მასებს. ეს ნაშრომი ამჟამადაც აიარაღებს საბჭოთა ხალხს ლენინიზმის უძლეველი მოძღვრებით.

* * *

ნაშრომში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ ამხანაგი სტალინი განაზოგადებს ლენინის მეშვეიდრეობას და გვიჩვენებს იმ განსაკუთრებულსა და ახალს, რითაც ახალ ისტორიულ ეტაპზე ლენინმა გამდიდრა მარქსიზმი.

ლენინის უდიდესი დამსახურება მარქსიზმის წინაშე შესანშნავად არის ასახული ამხანაგ სტალინის მიერ ლენინიზმის კლასიკურ განსაზღვრაში: „ლენინიზმი არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი. უფრო ზუსტად: ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა საერთოდ, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და ტაქტიკა განსაკუთრებით“ (ი. ბ. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“. გამოცემა XI, გვ. 2,).

ლენინიზმის ეს განსაზღვრა მკვეთრად წარმოგვიდგენს ამ დიდი მოძღვრების არსს, უპირისპირდება და ანადგურებს ლენინიზმის ყველა ჯურის კრიტიკოსებსა და ფალსიფიკატორებს.

ლენინიზმი წარმოშვა იმპერიალიზმის ეპოქამ, როცა პროლეტარული რევოლუცია უშუალო პრაქტიკულ აუცილებლობად გადაიქცა. იგი განვითარდა და განმტკიცდა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტების მეტაფიზიკურ მეთოდსა და თეორიულ დოგმებს. ოპორტუნისტთა მუშაობის მეთოდის დამახასიათებელი იყო სიტყვისა და საქმის, თეორიისა და პრაქტიკის ერთმანეთისაგან მოწყვეტა.

II ინტერნაციონალის ოპორტუნიზმის გამოაშკარავებით, მისი განადგურებისათვის ულმობელი ბრძოლით ლენინმა აღადგინა და განავითარა რევოლუციური მარქსიზმი, მისი მატერიალისტური დიალექტიკა და ამ საფუძველზე შექმნა ნამდვილად პროლეტარული, ახალი ტიპის მარქსისტული პარტია, რომელიც სათავეში ჩაუდგა რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს და წაიყვანა იგი ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის გზით, დიდ ისტორიულ გამარჯვებათა გზით.

ლენინის მეთოდში პოულობს შემდგომ განვითარებას მარქსის კრიტიკული და რევოლუციური მეთოდი, მისი მატერიალისტური დიალექტიკა.

ლენინიზმის მეთოდი ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მეცნიერული შემეცნებისა და რევოლუციური გარდაქმნის ბასრი იარაღია, სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის.

ამხანაგი სტალინი ღრმად განმარტავს რევოლუციური თეორიის არსსა და მნიშვნელობას. „თეორია,—ამბობს ამხანაგი სტალინი, არის ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობის გამოცდილება, აუებული მისი ზოგადი სახით“ (გვ. 17). იგივ მეიდრო კავშირშია პრაქტიკასთან. „თეორია ხდება უსაგნო, თუ ის არ უკავშირდება რევოლუციურ პრაქტიკას, სწორედ ისევე, როგორც პრაქტიკაც ხდება ბრმა, თუ იგი არ აშუქებს გზას რევოლუციური თეორიით“ (იქვე). მუშათა მოძრაობისათვის რწმენის მიცემა, ორიენტირების ძალა, მოგვნათა შინაგანი კავშირის გაგება, კლასების ურთიერთობა აწმყოსა და მომავალში, აი რაში იჩენს თავს რევოლუციური თეორიის მნიშვნელობა, მისი უდიდესი როლი მუშათა მოძრაობაში.

სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია მარქსისტული თეორიის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. იგი დასაბუთებულია ლენინის მიერ იმპერიალიზმის ორმა თეორიული ანალიზის საფუძველზე. იმპერიალიზმის ეპოქაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების წინანდელი პირობები ახალი პირობებით შეიცვალა. ლენინმა აღმოაჩინა იმპერიალიზმის პერიოდში კაპიტალიზმის უთანაბრო, ნახტომებრივი განვითარების კანონი და ამ საფუძველზე შეიმუშავა სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორია — თავდაპირველად ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების თეორია. ამ თეორიის ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ჩვენს ქვეყანაში.

ლენინიზმში შემდგომ განვითარებას პოულობს პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტული თეორია. განხილავს რა პროლეტარიატის დიქტატურას, როგორც პროლეტარული რევოლუციის იარაღს, როგორც პროლეტარიატის ბატონობას დამხობილ ბურჟუაზიაზე, ამხანაგი სტალინი განსაზღვრავს სამ თავავარ ამოცანას, რომელიც თავიდანვე უნდა განახორციელოს პროლეტარიატის დიქტატურამ. ეს ამოცანებია:

„ა) დაითრგუნოს რევოლუციის მიერ დამხობილ და ექსპროპრიირებულ მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგობა, ლიკვიდირებულ იქნას მათი ყველა და ყოველგვარი ცდა კაპიტალის ძალაუფლების აღსადგენად;

ბ) მოეწყოს მშენებლობა პროლეტარიატის გარშემო ყველა მშრომელის შემჭიდროების საფუძველზე და წარიმართოს ეს მუშაობა იმ მიმართულებით, რომელიც მოამზადებს კლასების ლიკვიდაციას, მათ მოსპობას;

გ) შეიარაღდეს რევოლუცია, მოეწყოს რევოლუციის არმია გარეშე მტრებთან საბრძოლველად, ფიზიკურად მშრომელთა საბრძოლველად“. (გვ. 34).

ლენინმა აღმოაჩინა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა —საბჭოთა ხელისუფლება. სახელმწიფოებრივი წყობილების ეს ფორმა მრავალ უპირატესობას შეიცავს და განუსაზღვრელად მაღლა დგას ყველა მანამდე არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმებთან შედარებით. იგი არის ჭეშმარიტად სახალხო, მშრომელთა ხელისუფლება.

საბჭოთა ხელისუფლება სახელმწიფოს ახალი ტიპია, რომელიც ფაქტიურად უზრუნველყოფს უაღრესად ფართო დემოკრატიულ უფლებებს მშრომელი მასებისათვის და პრიორიტეტულად განსხვავდება სახელმწიფო ხელისუფლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, პარლამენტური ფორმისაგან. საბჭოთა ხელისუფლების გაჩენით, ამბობდა ლენინი, „დამთავრდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარლამენტარიზმის ეპოქა, დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი თავი, პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქა“ (გვ. 43).

საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ახალი სახელმწიფოებრივი ფორმა, ამხანაგ სტალინის თქმით, „არის ის ნაძენი და ბოლოს ნაპოვნი პოლიტიკური ფორმა, რომლის ჩარჩოებში უნდა მოხდეს პროლეტარიატის ეკონომიური განთავისუფლება, სოციალიზმის სრული გამარჯვება. პარიზის კომუნა ამ ფორმის ჩანასახი იყო. საბჭოთა ხელისუფლება მის განვითარებასა და დამთავრებას წარმოადგენს“ (გვ. 45).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან განვლილმა ისტორიულმა პერიოდმა მთელი სიცხადით დაადასტურა საბჭოთა სახელმწიფოს ძალა და უძლეველობა.

განიხილავს რა გლეხობისა და ნაციონალურ საკითხებს, ამხანაგი სტალინი გვიჩვენებს: მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხები ლენინიზმის უმთავრესი საკითხის — პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხისაგან წარმოებულ საკითხებს წარმოადგენენ, მათი როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის. II ინტერნაციონალის პარტიები გულგრძელობას იჩენდნენ ამ საკითხებისადმი, რაც იმას ამტკიცებს, რომ მათ ეშინოდათ პროლეტარული რევოლუციისა, არ სწამდათ პროლეტარიატის დიქტატურა, ღალატობდნენ მარქსიზმს.

